ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
16
ივლისი
№ 165
(16595)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

სიგყვეები, რომლებიც გვრაზმავენ

პარტიული კომიტეტები სრულყოფენ პარტიის დირექტივებისა და საკუთარი გადაწყვეტილებების შესრულების ორგანიზაციასა და შემოწმებას, ამაღლებენ კომუნისტთა და უპარტიოთა ინფორმირებას [illegible] ეკონომიკურ საკითხებში, რითაც ხელს უწყობენ ხელმძღვანელი ორგანოებისა და კადრების საქმიანობისადმი ფართო მასების კონტროლის შემდგომ განვითარებას. პარტიული კომიტეტები რეგულარულად აცნობებენ თავიანთ მუშაობას პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას

მოსკოვი. 15 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას. **ხურათზე:** მოწოდების ხელმოწერის დროს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

15 ივლისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ხელი მოაწერეს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას, რომელიც ყველა მთავრობასა და პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას წინადადებას აძლევს გაერთიანებული ძალით იბრძოლონ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის.

მოწოდებას ხელი მოაწერეს ამხანაგებმა ლ. ი. **ბრეჟნევმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, თ. დ. კულაკოვმა, დ. ა. კუნაევმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, კ. ვ. რომანოვმა, მ. ა. სუსლოვმა, დ. თ. უსტინოვმა, ვ. ვ. შჩერბიცკიმ, გ. ა. ალიევმა, პ. ნ. დემიჩევმა, პ. მ. მაშეროვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, შ. რ. რაშიდოვმა, მ. ხ. სოლომენცევმა, ი. ვ. კაბანოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, კ. თ. კატუშევმა, მ. ვ. ზიმიანინმა, კ. უ. ჩერნენკომ.**

ამ მოწოდებამ, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო 1975 წლის 2 ივნისს ატომური იარაღის შესახებ სტოკჰოლმის ისტორიული მოწოდების 25-ე წლისთავის გამო, დასაბამი მისცა მსოფლიო მასშტაბიან კამპანიას მშვიდობისათვის სიშიშვლეში გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის და იარაღის დაგროვების მარაგის შემცირებაზე გადასვლისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის. განვლილი წლის მანძილზე მოწოდებას სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ხელი მოაწერა ათობით მილიონმა ადამიანმა, ხელმოწერათა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

საბჭოთა კავშირში ეს კამპანია საყოველთაო-სახალხო გახდა. დღეისათვის მოწოდებას ხელი მოაწერა რვენი ქვეყნის ას მილიონზე მეტმა მოქალაქემ. სტოკჰოლმის ახალ მოწოდებაზე ხელმოწერით საბჭოთა ადამიანები ცხადყოფენ რაოდენ მშვიდობისმოყვარეა ჩვენი ხალხი, რომელსაც სძულს ომი და იცის მისი ფასი. ისინი მთლიანად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს თანმიმდევრულ მშვიდობისმოყვარეობა საგარეო-პოლიტიკურ გეზს, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ მიიღო.

სტოკჰოლმის მოწოდებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ხელმოწერა ერთხელ კიდევ დადასტურებს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას ბრუნვას, პარტიისა და ხალხის მისწრაფებას, რომ შემდგომი ნაბიჯები გადადგას დაძაბულობის რეალური შენელების გზაზე, სტაბილური, შეუქცევადი ხასიათი მიენიჭოს მას. (საკ. ფოტო).

ომწოდება

შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება! შეუქცევადი გავხადოთ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება!

მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში მიღწეულმა გამარჯვებებმა ახალი საერთაშორისო კლიმატი შექმნა, მსოფლიოს ხალხებს ახალი იმედი, ნდობა და optimizmი ჩაუნერგა.

მშვიდობის შენარჩუნება შეიძლება. ჩვენ ძალა შეგაწევს უზრუნველყოთ მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

თუ მშვიდობისმოყვარე ძალები შეკავშირებულად იმოქმედებენ, ისინი დაძლევენ სიძნელეებს, რომლებიც ჯერ კიდევ აბრკოლებს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის შექმნას, სამუდამოდ გამორიცხავენ კაცობრიობის ცხოვრებიდან აგრესიას, ნაგვრასა და ექსპლოატაციას, შიმშილსა და სიღატაკეს.

გამალებული შეიარაღება ის მთავარი მიზეზია, რომელიც ხელს უშლის, რომ შეუქცევადი გახდეს დაძაბულობის შენელება. იგი ჯერ კიდევ შეიცავს ატომური კატასტროფის საფრთხეს. დაძაბულობის შენელებამ დააყოვნა ეს საფრთხე, მაგრამ გამალებული შეიარაღება კვლავაც იმის საფრთხეს შეიცავს, რომ დაძაბულობის შენელების პროცესი შეფერხდება.

გამალებული შეიარაღება მძიმე ტვირთად აწვება ხალხის ფართო მასებს, რომლებიც აწყდებიან ცხოვრების მუდმივ გაძვირებას, ინფლაციასა და ეკონომიურ კრიზისს; იგი ხალხებს ართმევს მათი ქონებისა და რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს.

დაძაბულობის შენელებამ ახალი პერსპექტიანები დასახა ახალი საერთაშორისო ეკონომიური წყობისათვის, ხალხების იმ უფლებისადვის ბრძოლის საქმეში, რომ თვითონ გაანაგებდნენ საკუთარ ბუნებრივ რესურსებს. დაძაბულობის შენელება ეფექტიანი იარაღია მონოპოლიებისა და მრავალეროვანი კორპორაციების წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლაში.

დაძაბულობის შენელება ახალ შესაძლებლობებს ქმნის, რომ გადაიჭრას თანამედროვეობის ყველაზე გადაუდებელი საერთაშორისო პრობლემები, მოისპოს დაძაბულობისა და კონფლიქტების კერები.

დაძაბულობის შენელება საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ განვითარდეს ყველა ქვეყნის ხალხთა მეცადინეობა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სამართლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

გამალებული შეიარაღება, იმპერიალისტთა არსენალებში იარაღის დაგროვება მხოლოდ აგრესიას, კოლონიალიზმისა და რასიზმის, მილიტარიზმის და ფაშიზმის ძალებს აძლევს ხელს.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტა კაცობრიობას გაუკაფავს უიარაღო მსოფლიოს გზას, რომელშიც მთლიანად აკრძალული იქნება ატომური იარაღი, მსხობრივი მოსპობის ყველა სახეობის იარაღი, რომელშიც განხორციელდება საყოველთაო და სრული განიარაღება.

მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობა და მსოფლიო მოვლენათა მიმდინარეობაზე მისი ზემოქმედება არსებულად გაიზარდა. მას შეუძლია ალაგმოს იარაღის სპეკულანტები, „ცივი ომის" მომხრეები და კაცობრიობის მტრები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოუწოდებს ყველა მთავრობასა და პარლამენტს, ყველა საზოგადოებრივ მოძრაობასა და ორგანიზაციას, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ქალთა და ახალგაზრდულ, რელიგიურ, სოციალურ და კულტურულ ორგანიზაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ კაცობრიობის პროგრესს, გაერთიანონ ძალები გამალებულ შეიარაღებაზე ახალი მსოფლიო შეტევისათვის.

რომ დაძაბულობის შენელება შეუქცევადი გავხადოთ, უნდა შეწყდეს გამალებული შეიარაღება!

რომ უფრო სწრაფად შევქმნათ ახალი საერთაშორისო ეკონომიური წყობა — უნდა შეწყდეს გამალებული შეიარაღება!

რომ დავიცვათ მშვიდობა და ავაშენოთ ახალი მსოფლიო — უნდა შეწყდეს გამალებული შეიარაღება!

ერთად ვიბრძოლოთ ატომური და მასობრივი მოსპობის და ყველა სხვა სახეობის იარაღის აკრძალვისათვის!

ერთად ვიბრძოლოთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

ერთად ვიბრძოლოთ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის რაც შეიძლება მალე მოწვევისათვის!

 სტოკჰოლმი, 1975 წლის 2 ივნისი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმი

კომბაინერთა შეჯიბრება

გურჯაანი

ჰამლეტ ჯავიანიძემ არაშენდის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეული 9 ჰექტარი მომკა 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ვალიკო სოლოდაშვილმა კაჭრეთის კოლმეურნეობაში ერთ დღეს პურეულის მოსავალი 8,5 ჰექტარი აიღო 8 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე საშუალოდ 32,5 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ახმეტა

რეზო ალიაშვილმა ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს 11 ჰექტარი ხორბალი მომკა და ამით დღიურ ნორმას 3 ჰექტარით გადააჭარბა, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

მელიტონ მურთაზაშვილმა ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობაში ერთ დღეს პურეულის მოსავალი 12 ჰექტარი აიღო, ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

თეთრი წყარო

ანზორ სხირტლაძემ თეთრიწყაროს საბჭოთა მეურნეობაში 34 ჰექტარი პურეულის მოსავალი 4 საშუშაო დღეში აიღო 32 ჰექტარის ნაცვლად და ჰექტარზე 27 ცენტნერი მარცვალი გალეწა.

ორ ცვლად მუშაობენ

ფლეულს გარდაბნის რაიონში თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალია. უკვე აღებულია 3.700 ჰექტარზე მეტი მარცვლეული, თვითეულ ჰექტარზე — 25 ცენტნერი.

რაიონში 9.200 ჰექტარი პურეულია მოსამკელი. ყოველდღე 93 კომბაინი მუშაობს. მაგრამ მარტო ამ მანქანებით მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება ძნელდება, მით უმეტეს ხშირად ამინდიც ჭირეულობს. ამიტომ, — გვაცნობა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ლოლაძემ**, — საღამოც კი შესაძლებელია, მოსავლის აღებაზე კომბაინებს დღედაღამ ვამუშავებთ.

მანქანის დღისით და ღამით მუშაობის პირველი თაოსანები მარტყოფის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები არიან, რომლებიც თვითეული მანქანით ყოველ ღამეს საშუალოდ 10 ჰექტარ პურეულს მკავდ 8 ჰექტარის ნაცვლად.

(„კომუნისტის" კორ.).

15 ივლისი

„პრავდის" ფურცლებზე

ქვეყნის ბატონ-პატრონები

საბჭოთა მუშასა და კოლმეურნეს, მეცნიერსა და ინჟინერს, წარმოების ორგანიზატორსა და კულტურის მოღვაწეს აერთიანებს იმის შეგნება, რომ ყველაფერი, რაც მათი შრომითია და ნიჭით იქმნება, ყველაფერი, რითაც მდიდარი და ძლიერია სამშობლო, განუყოფლად ეკუთვნით მათ, ხალხს.

დაუცხრომლად ვუვითარებდეთ ყველა მშრომელს ქვეყნის ბატონ-პატრონის, მისი ღირსეული წარმომადგენლის გრძნობას — ეს კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია შრომითს კოლექტივებში, მოსახლეობას შორის პარტიული ორგანიზაციების. მიზანდასახული პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონეზე, მასებზე იდეური და ზნეობრივი გავლენის მრავალფეროვანი ფორმებისა და საშუალებების ეფექტიან გამოყენებაზე. ლიტერატურა, ხელოვნება ასრულებენ დიდ, ნაყოფიერ როლს ამ პროცესში, რომ ადამიანებს ჩაუნერგონ ბატონ-პატრონის გრძნობა ჩვენი მატერიალური და სულიერი ღირებულებებისადმი, ბუნებრივი სიმდიდრისა დმ, ყველაფრისადმი, რაც ძვირფასია საბჭოთა ხალხისათვის.

დიახ, სსრ კავშირის ყველა ეროვნების მშრომელები ნათქვამია დასასრულ „მოუბარეები („ქვეყნის ბატონ-პატრონები") — მშობლიური ქვეყნის ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს „ერთგული შვილები და სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან. საბჭოთა პატრიოტები არ იშურებენ ძალღონესა და შრომას, რათა ივი წლითიწლამდე სულ უფრო მძლავრი, მდიდარი, ლამაზი ხდებოდეს.

გაზეთის მეორე გვერდზე რუბრიკით — „ფაქტი და კომენტარი" — გამოქვეყნებულია **გ. ლებანიძის** კორესპონდენცია — „ექსპონატები გვიამბობს".

მოღებულია გადაწყვეტილება, — ნათქვამია კორესპონდენციაში, — რომ თბილისში შრომის დიდების მუზეუმი შეიქმნას. აი რა ჟუხრა ამის თაობაზე კორესპონდენტს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **თ. ი. მოსაშვილმა:**

— **მუზეუმმა თანამედროვეობისათვის უნდა „იმუშაოს", პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაეხმაროს სოციალისტური შეჯიბრების გაშლაში. ეს ხელს შეუწყობს იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც წამოყენებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ დადგენილებაში „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".**

კონკრეტული ფაქტებისა და დოკუმენტების საფუძველზე მუზეუმში ნაჩვენები იქნება საქართველოს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის შრომითი დიდების გზა რევოლუციური მოძრაობის ჩასახვიდან დღემდე. ჩვენ ვთხოვეთ ვეტერანებს, მოწინავე მუშებს, კოლმეურნეებს მათი ცხოვრებისა და შრომის ამსახველი მასალები გადასცენ მუზეუმს.

რუბრიკა — „პარტიული ცხოვრება: მუშაობის ლენინური სტილისათვის" — წარმოდგენილია ბელორუსიის კპ გროდნოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ლ. კლეცკოვის წერილით „შემოქმედებითად, უშბლონოდ".

მესამე გვერდი მთლიანად დათმობილი აქვს წერილებს, რომლებშიც მკითხველი აკრიტიკებს („ხიახლის გზა დაზგამდე ხანგრძლივია"), პრობლემას აყენებს („თუმცა კაშხალი პატარა კია"), მსჯელობს („ორშაბათი მძიმე დღეა).

ამავე ნომერში წარმოდგენილ სხვა მასალებს შორის გაეცნობით ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ა. ეფრემოვის წერილს „მომავალს მოკლებული საზოგადოება".

ПРАВДА

15 ივლისი

„სალუტ-5": ფრენა პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს

ფრენის მართვის ცენტრი, 15 ივლისი. (საკდესი). „სალუტ-5" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში მორიგი სამუშაო დღის დროს კოსმონავტები ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი განაგრძობდნენ ტექნოლოგიურ და სამედიცინო კვლევასა და ექსპერიმენტებს.

ეკიპაჟმა დაიწყო ტექნოლოგიური ექსპერიმენტის „კრისტალის" შესრულება, რომლის დროს უნდა გამოიკვლიონ უწონობის პირობებში კრისტალების ზრდის მიხედვით. ექსპერიმენტი ეწყობა ორბიტული სადგურებისა და კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟების კვების უსუფიზისა და რეჟიმების შემდგომი სრულყოფისათვის.

მეცნიერული კვლევა „სალუტ-5" სადგურში გრძელდება. კოსმონავტები ვოლინოვი და ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ.

ფრენის მართვის ცენტრი, 15 ივლისი. (საკდესი). „სალუტ-5" ორბიტულ სამეცნიერო სადგურში მორიგი სამუშაო დღის დროს კოსმონავტები ბორის ვოლინოვი და ვიტალი ჟოლობოვი განაგრძობდნენ ტექნოლოგიურ და სამედიცინო კვლევასა და ექსპერიმენტებს.

ეკიპაჟმა დაიწყო ტექნოლოგიური ექსპერიმენტის „კრისტალის" შესრულება, რომლის დროს უნდა გამოიკვლიონ უწონობის პირობებში კრისტალების ზრდის თავისებურებები. ამისათვის სადგურში არის კალიუმ-ალუმინის შაბის წყალ-ხსნარიანი კრისტალიზატორები. კოსმონავტებმა ხსნარში მოათავსეს სპეციალური კრისტალები. ექსპერიმენტი რამდენიმე დღეს გაგრძელდება. შემდეგ უწონობაში წარმოქმნილ კრისტალებს ჩამოიტანენ დედამიწაზე დედამიწის პირობებში მიღებულ ანალოგიურ კრისტალებთან შესადარებლად და გასაანალიზებლად.

სამედიცინო ექსპერიმენტების დროს კოსმონავტები განსაზღვრავენ კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენით თავიანთ გემოვნებ შეგრძნებათა ცვლილებებს. ამ დროს მეთაური და ბორტინჟინერი სარგებლობენ გემოვნი მგრძნობელობის ინდიკატორებით, რომლებიც შერჩეულია მლაშე, მწარე, მეტადე და ტკბილი ნივთიერებების კონცენტრაციის ზრდის მიხედვით. ექსპერიმენტი ეწყობა ორბიტული სადგურებისა და კოსმოსური ხომალდების ეკიპაჟების კვების უსუფიზისა და რეჟიმების შემდგომი სრულყოფისათვის.

მეცნიერული კვლევა „სალუტ-5" სადგურში გრძელდება. კოსმონავტები ვოლინოვი და ჟოლობოვი თავს კარგად გრძნობენ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კუბის რესპუბლიკის, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობათა წარმომადგენლებმა 13 ივლისს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას მშვიდობიანი მიზნით კოსმოსური სივრცის კვლევასა და გამოყენებაში თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებაში ხაზგასმულია, რომ მონაწილე ქვეყნები ესწრაფვიან განამტკიცონ კოსმოსური სივრცის კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით მისი გამოყენების დარგში ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ დარგში თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას. ასეთი თანამშრომლობის სფეროებად, კერძოდ, დასახელებულ კოსმოსური სივრცის ფიზიკურ თვისებათა შესწავლა, კოსმოსური მეტეოროლოგია, კოსმოსური ბიოლოგია და მედიცინა, კოსმოსური კავშირგაბმულობა და ბუნებრივი გარემოს შესწავლა კოსმოსური საშუალებებით.

თანამშრომლობის ფორმებია მეცნიერული და გამოყენებითი დანიშნულების კოსმოსური ობიექტების გაშვება, კოსმოსური კვლევისათვის ლაბორატორის შექმნა, ექსპერიმენტების მოწყობა. გეოფიზიკურ და მეტეოროლოგიურ რაკეტებზე, ერთმანეთისათვის მეცნიერულ-ტექნიკური დახმარების გაწევა, მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცვლა.

გათვალისწინებულია მოწყოს შეთანხმების მონაწილე ქვეყნების კოსმოსის დარგში ეროვნული საკოორდინაციო ორგანოებს ხელმძღვანელთა ყოველწლიური თათბირები. (საკდესი).

გაიხსნა ფიზიკოსთა XVIII საერთაშორისო კონფერენცია

15 ივლისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საატომო დარბაზში მუშაობას შეუდგა ძალიან ენერგიული ფიზიკის XVIII საერთაშორისო კონფერენცია.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან გამოჩენილი მეცნიერი ფიზიკოსები.

კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ნ. ბოგოლუბოვმა.

კონფერენციის ყველა მონაწილის სახელით ნ. ბოგოლუბოვმა გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის მთავრობასა და კონფერენციის ორგანიზატორებს, რომლებმაც ყველაფერი იღონეს უმაღლეს დონეზე ამ შეხვედრის მოწყობისათვის.

კონფერენციის მოწყობის ადგილის შერჩევა, თქვა შემდეგ ნ. ბოგოლუბოვმა, მოწმობს საქართველოს მეცნიერული ტრადიციების დიდ პატივისცემას. ჩვენ ყველას კარგად მოგეგონებინება მათემატიკოსთა ქართული სკოლის დიდი მიღწევები. ამ სკოლის სათავეებთან იდგნენ და დგანან ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, როგორიც არიან ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე და სხვები. ამ მიღწევებმა, უეჭველად, ხელი შეუწყვეს თეორიული და ექსპერიმენტული ფიზიკის ბევრ დარგში კვლევის განვითარებას.

ჩვენთვის აგრეთვე კარგად არის ცნობილი, რომ ელექტრონული ნაწილაკების ფიზიკის დარგში ინტენსიური კვლევა წარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის საპრობლემო ლაბორატორიაში, რომელიც მხოლოდ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა და უკვე ჩვენი ქვეყნის უდიდესი საუნივერსიტეტო ლაბორატორიაა.

კონფერენციის გახსნაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, რომელმაც წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მისალმება მაღალი ენერგიების ფიზიკის XVIII საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებისადმი.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ა. პეტროსიანცისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ დ. ჩხიკვიშვილის გამოსვლები.

კონფერენციის გახსნის დღეს მეცადინეობა დაიწყო 24 სექციაში, რომლებიც დაყოფილია ოთხ ნაკადად.

კონფერენციის მუშაობა 21 ივლისამდე გასტანს.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 15 ივლისს 85 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და მეცნიერების შესანიშნავი ორგანიზატორი, მექანიკოსთა საბჭოთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოდან აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლის მამამთავარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი და ოცდაათ წელზე მეტხანს უცვლელი პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოცლასტური შრომის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საზღვარგარეთის მეთელ რიგ აკადემიათა წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო პრეზიდენტი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი

ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

14 ივლისს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების **1976-1980** წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ძირითადად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტები, რომლებიც სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა შეიმუშავა პარტიის XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების დებულებებისა და დასკვნების და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების **1976-1980** წლების ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეების, სსრ კავშირის მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების მონაწილეობით განიხილოს გეგმებისა და ბიუჯეტის აღნიშნული პროექტები თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის, სსრ კავშირის სამინისტროსა და უწყების მიხედვით და უზრუნველყოს წარმოების, მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების საჭირო შეწონასწორება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების **1976-1980** წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები შეტანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

ამავე სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების 1976 წლის პირველი ნახევრის შედეგები.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით გამოწვეული დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის და 1976 წლის სახალხოსამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგად მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიღწეულია შემდგომი წარმატებები ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

1975 წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 5 პროცენტით გაიზარდა წლიური გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის ნახევარი წლის გეგმა გადაჭარბებით შესრულა ყველა სამინისტრომ, უწყებამ და მოკავშირე რესპუბლიკამ. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 4 მილიარდი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1975 წლის პირველ ნახევართან შედარებით 3,5 პროცენტით გაიზარდა წლიური გეგმით გათვალისწინებული 3,4 პროცენტის ნაცვლად. საქონელბრუნვა 1976 წლის პირველ ნახევარში 4,8 პროცენტით გადიდდა 1975 წლის პირველ ნახევართან შედარებით. ცენტრალიზებული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე აშენდა 21,6 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები 99 ათასი მოსწავლისათვის.

ამასთანავე სხდომაზე აღინიშნა ნაკლოვანებები 1976 წლის პირველი ნახევრის გეგმის შესრულებაში. მთელმა რიგმა სამინისტროებმა შეასრულეს წარმოების საერთო მოცულობის დავალება, მაგრამ დადგენილი ნომენკლატურის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა ვერ შეასრულეს. მთლიანად ვერ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება მშენებლობაში. ბევრმა სამინისტრომ ვერ შეასრულა საწარმოო სომძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დავალებები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაავალა შეიმუშაონ და განახორციელონ საქვეუწყებო საწარმოთა და მშენებლობათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებები და უზრუნველყონ საგეგმო დავალებათა შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა ყველაფერი იღონონ, რათა უახლოეს დღეებში დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადება მოსავლის ასაღებად, წარმატებით დაამთავრონ მოსავლის ასაღები სამუშაოები მიმდინარე წელს. შეინახონ მარცვლეული, შეასრულონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის, თესლის შენახვისა და მეცხოველეობისათვის საკვების დამზადების გეგმები.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. პ. კირილენკო.

მთიანი რაიონების პრობლემები

გულგრილი მშენებლები

სამხრეთ მეტი ზრუნვა მოსახლეობის, განსაკუთრებით სოფლის, მთის რაიონების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო კულტურის ამაღლებისათვის, მშრომელთა თავისუფალი დროის გონივრული გამოყენების, მათი დასვენების ორგანიზაციისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებიდან.

დავალება მივიღე — მესტიაში უნდა აეცულიყავი ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობის მდგომარეობის შესასწავლად. სამ დღეს ვიცდიდით ინგირის აეროპორტში, უამინდობის გამო მესტიაში ფრენა არ იყო. ზემო სვანეთის მკვიდრნი და სტუმრები გამოდგომებას ელოდებოდნენ, ამინდი კი კვლავ ქარგეულობდა.

ზუგდიდიდან მესტიამდე ავტობუსების მიმოსვლა ორ წელზე მეტია შეწყვეტილია. მშრომელები საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ სარგებლობენ. ლოდინით შეწუხებული ბაზაარები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ გზის მშენებელთა მოუქნელი მუშაობის გამო, რომ ვერ აჩქარებენ მშენებლობას.

ენგურჰესის მშენებლობის და ტრანსპორტზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო გადაწყდა სვანეთში ახალი, ფართო საავტომობილო გზის მშენებლობა. გამოიყო მილიონობით მანეთი, დიდძალი ტექნიკა, საშენი მასალები. მშენებლობას ჯერ კიდევ 1965 წლიდან აწარმოებს „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის საგზაო-სამშენებლო სამმართველო (უფროსი გ. ყორღოლაძე) შარშან ივნისში კი შეიქმნა სასინერო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველო (უფროსი ა. ჩალაძე). გარდა ამ ორგანოსაცისა, ჯვარი-მესტიისა და მესტია-უშგულის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქციაზე მუშაობენ საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს მეთოთხმეტე საგზაო-საექსპლოატაციო უბანი (უფროსი შ. გურჩრიანი) და № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის № 16 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო (უფროსი ჯ. ქურდიანი).

გზებმა „კომუნისტმა“ ჯერ კიდევ 1974 წლის 4 ოქტომბერს დაბეჭდა წერილი „ზერელე დაპირება და მწარე სინამდვილე“, სადაც გაკრიტიკებული იყო „საქმიდროენერგომშენისა“ და მისი საგზაო-სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობა. მშენებლებმა კრიტიკა ყურად იღეს და საგზაო-სამშენებლო სამმართველომ 10 წლის მანძილზე პირველად შეასრულა წლიური გეგმა. მაგრამ მომდევნო წლის პირველ ნახევარში ტემპი კვლავ შეანელეს. გეგმის შესრულებაში ჩამორჩნენ № 14 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი და № 16 საგზაო სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

1975 წლის 31 მაისს „კომუნისტში“ კვლავ დაიბეჭდა წერილი „ბრკოლებს საშურ საქმეს?“. კვლავ დაფაცურდნენ მშენებლები, განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შარშანდელი დავალებაც შეასრულეს.

სახარბიელო არ არის მდგომარეობა წელსაც. მაგალითად, 6 თვის გეგმა არცერთ სამმართველოს არ შეესრულება. ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ წლევანდელი ზამთრის დიდთოვლიანობამ და ზვავებმა მთელი ტექნიკა და მუშახელი გზების გაწმენდაზე დაადგა, ამ მხრივ მშენებლებმა ბევრი იმუშავეს და დიდი ამაგი დასდეს რაიონის მოსახლეობას, მაგრამ აპრილის მუშაობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მაისისა და ივნისის გეგმების შესრულებაში რატომ ჩამორჩნენ?

ზუგდიდში, სადაც თავს იყრის სვანეთში გასაგზავნი ავტომანქანები, შევხვდით პარტიის მესტიის რაიკომის პირველ მდივანს ბ. სარალიძეს. ბევრ მგზავრს მოეყარა აქ თავი, უნდოდათ სატვირთო მანქანებს გაპყოლოდნენ.

გზების მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზებზე რომ ესაუბრობდით ბ. სარალიძე გვეუბნება: მართალია შესტაში ბევრი რამ გაკეთდა და ვაკეთებთ კიდევაც, მაგრამ საავტომობილო გზების მშენებლობის გაჭიანურებას ბოლო არ უჩანს. ვის არ მივმართეთ, ვის არ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ მშენებლებთან მაინც ვერაფერს გავხდით, თქვენ თვითონ დაათვალიერეთ გზები, ნახეთ ჩვენი გასაჭირი და ყველაფერში დარწმუნდებითო.

მშრომელთა დეპუტატების მესტიის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან, საგზაო მშენებლობის ხელმძღვანელობის რაიონული შტაბის უფროსთან მურად უშბაევთან ერთად ვნახეთ გზების მშენებლობა. თავდაპირველად რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტის № 16 საგზაო სარემონტო სამმართველოს (უფროსი ჯ. ქურდიანი) ობიექტებს ვეწვიეთ. ეს სამმართველო სხვებთან შედარებით ყველაზე დიდი მოცულობის — 1 მილიონ 571 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებს. მშენებლებს წლეულს 6 თვეში ზუგდიდი-ხაიში-მესტიის საავტომობილო გზის კაპიტალური შეკეთებისათვის 576 ათასი მანეთის, ხოლო მესტია-მულახი-უშგულის გზის შეკეთებისათვის — 70 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ. 14 ივნისისათვის ყველა გზაზე შესრულებული იყო მხოლოდ 226 ათასი მანეთის სამუშაო.

სამმართველოს ჩამორჩენის ძირითად მიზეზად შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა მიგვაჩნია. დათვალიერების დღეს გზის გამგრეგაზე და რიონა-ბეტონის კეკლის ამოყვანაზე სოფელ ეცერთან 6 კაცი — მოცდა ცემენტის, ლურსმნის და ხეტყის მასალების უქონლობის გამო. მშენებლებმა ბიძინა, სოსო, ომარ და ვლადიმერ გუჯეჯიანებმა, ტარასი და ნიკოლოზ პაკლიანებმა გვითხრეს — ასეთი მოცდენები აქ ხშირად არის და მუშებიც ამიტომ ვარბიანო.

სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ზ. დოღონაძემ სხვასთან ერთად გეგმების შეუსრულებლობის მიზეზად მუშახელის უკმარისობა დასახელა. მისი განმარტებით გზის მშენებლობაზე ყოველდღიურად საჭიროა 200 კაცი, ფაქტიურად კი 120 კაცი გამოდის. სამწუხაროა, რომ ზ. დოღონაძემ არც კი იცის, თუ რატომ არ გამოდის მეტი მუშახელი, სვანეთში ხომ მუშახელი საკმაო რაოდენობით არის, მთავარია მათი დასაქმება. აპრილ-მაისში შესასრულებელი იყო 171 ათასი მანეთის სამუშაო, ფაქტიურად მხოლოდ 98,8 ათასი მანეთისა შესრულდა. უბნების უფროსებს ს. ცინდელიანს და ო. შავლაყაძეს უჭირთ ახსნან ჩამორჩენის მიზეზები, მაგრამ როცა მათთან ერთად დავათვალიერეთ ობიექტები, იძულებული გახდნენ ეთქვათ, რომ აკლიათ კლდის საბურღი მანქანა, კომპრესორი, ბულდოზერი, ექსკავატორი, ასფალტის სატკეპნი მანქანები, 30-ტონიანი ბითუმის სათავსო ორი ქვაბი და სხვ. ცუდად არის საგზაო-სამშენებლო მანქანების, განსაკუთრებით ბულდოზერებისა და საბურღი მანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების საქმე.

მაისსა და ივნისში გეგმა იმატომაც ვერ შესრულდა, რომ ბარაბიჭესის მშენებლობიდან გამოგზავნილი ბეტონის სარევი მანქანები უკანვე დაუბრუნეს. მეორე უბანს დარჩა მხოლოდ 2 ბეტონსარევი მანქანა, ამთვალ ერთი მწყობრიდან არის გამოსული, რამაც შეუძლებელი გახადა გეგმით გათვალისწინებული 5.500 კუბური მეტრი ბეტონის ხაიშ-დიზის უბანზე ჩასხმა.

ამრიგად ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობაზე — საგზაო-სამშენებლო სამმართველოში ძალიან ცუდად მუშაობენ, ერთ ადგილს ტკეპნიან, დაბალია შრომის დისციპლინა. ცდება მექანიზმები, აკლიათ ცემენტი, ხე-ტყის მასალა.

დაგვინტერესა, რას გვეტყოდნენ ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობაზე „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის ხელმძღვანელი მუშაკები. ტრესტის მმართველი ი. არობელიძე აღგილზე არ დაგვხვდა. მმართველის მოადგილემ ი. ნებიერიძემ და საგეგმო განყოფილების უფროსმა გ. ახალაიამ გვითხრეს, რომ ამჟამად ტრესტი ახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა შედეგად უმოკლეს დროში ნაკლოვანებანი აღმოიფხვრებაო. ფიცი გვწამს, მაგრამ საქმეს ჯერ წინსვლა არ ეტყობა...

— ხაიშ-დიზის გზის რეკონსტრუქცია, — განმარტა მან, კაპიტალური რემონტის ბარაზე ხდება. ტრესტის საიჯარო სამუშაოების გეგმით ამ გზის რეკონსტრუქცია არ არის გათვალისწინებული და გეგმის შესრულებაში არ გვიფიქრია. რაც ტრესტს შეტად ძნიმე ფინანსურ მდგომარეობას უქმნის. „მთავარპიდროენერგომშენიდან“ მიღებული ვიაქეს კატეგორიული მითითება, რომ შეეწყვიტოთ გზის რეკონსტრუქცია.

ეს მეტად ყურადსაღები სიგნალია. საჭიროა რესპუბლიკის საგეგმო კომიტეტმა სასწრაფოდ ღონისძიებები განახორციელოს, რათა ეს ობიექტი ტრესტს გეგმაში ჰქონდეს და მისი მშენებლობა დაჩქარდეს.

ვესაუბრეთ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრს გ. რობიტაშვილს, რომელმაც გვითხრა: 18 ივნისს სამინისტროს კოლეგიამ იმსჯელა ხაიშ-მესტიის საავტომობილო გზის კაპიტალური რემონტის მიმდინარეობის შესახებ საქართველოს კომპარტიის მესტიის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის 14 მაისის გადწყვეტილების საფუძველზე. სამინისტროს კოლეგიამ მისდამი დაკვეთდებარებულ № 16 საგზაო-სარემონტო სამშენებლო სამმართველოს № 2 საგზაო სარემონტო-სამშენებლო ტრესტს (მმართველი ბ. მჭედლიძე), სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოსა (ა. სეხნიაშვილი) და № 14 საგზაო-საექსპლოატაციო უბანს (უფროსი შ. გურჩიანი) დაავალა 10 აგვისტომდე უზრუნველყონ ჩამორჩენის დაძლევა, მშენებელთა მომარაგება სამშენებლო მექანიზმებით, სათადარიგო ნაწილებით, მუშახელით, სამშენებლო მასალებით. კოლეგიამ შესაბამის სამინისტროებს, ტრესტებს, ყველა ორგანიზაციას სთხოვა ზემდგომი ორგანოების დადგენილების საფუძველზე გაუძღიერონ დახმარება გზის მშენებლებს და მოამარაგონ სათანადო სამშენებლო მასალებით.

ჩვენ გვჯერა, რომ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილების განხორციელება უზრუნველყოფს ჩამორჩენის დაძლევას და ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის მშენებლობის გეგმების შესრულებას.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

რა აბრკოლებს ჯვარი-მესტიის გზის გაყვანას?

მება. ამ დღეს აქ ერთადერთი ბულდოზერი მუშაობდა, სამართველოს კი 9 ბულდოზერი ერიცხება. სამმართველოს მომზადებული აქვს ქვაბულები 2600 კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოთა საწარმოებლად. მაგრამ ცემენტისა და ხეტყის მასალის უქონლობა მათ საშუალებას არ აძლევს ფართო ფრონტით გაშალონ მუშაობა. 18 ივნისისათვის აქ მიღებული ჰქონდათ მხოლოდ 362 ტონა ცემენტი, მაშინ როცა კასპის ცემენტის ქარხანას მეორე კვარტალში მშენებლებისათვის 1.024 ტონა ცემენტი უნდა მიეწოდებინა.

რესპუბლიკის რომელ მშენებლობაზე არ ნახავთ სვანეთის ხეტყის მასალებს, ჯვარი-მესტიის გზის მშენებლობაზე კი ამ მასალების ნაკლებობა განიცდიან. სამმართველოს უფროსმა ჯ. ქურდიანმა გასაკვირდა — 1974 წელს სამმართველოსთვის გამოყოფილი იყო 300 კუბური მეტრი დაზრნილი მასალა. ივნისიდან ხაიშის სატყეო მეურნეობამ ვერ უზრუნველყო ხე-ტყის მიწოდება. ათვისებულია მხოლოდ 60 კუბური მეტრი. ამის გამო წელს მშენებლობისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის შემოტანა დაიგეგმა. სამტრედიის ხე-ტყის ბაზიდან (!) სამმართველოს არ გაიჩინა ტრანსპორტი ამ სიშორიდან ხე-ტყის შემოსაზიდად, ხოლო 1976 წლის გეგმის შესასრულებლად საჭიროა 500 კუბური მეტრი დაზრნილი მასალა და 100 კუბური მეტრი მრგვალი ხეტყე.

გზა გაფაგრძელეთ, ხაიში-დიზის უკელაზე რთულ მონაკვეთზე სოფელ ჯორკვალთან მანქანები გაჩხერილი აღმოჩნდა. მძღოლმა ჩვენი მანქანაც შეაჩერა. ქვემოთ უფსკრულში ღრიალით მიეკელეოდა გზას ენგური, ხოლო მისი საკალნაპირების გაფართოებაზე საინჟინრო ნაგებობათა სამშენებლო სამმართველოს № 8 სამშენებლო უბნის (უფროსი ბ. ბერელიძე) ბრიგადები მუშაობდნენ. მძღოლ ლ. ნარსიას ცოცაბო კლდეზე შეენერგინა ბეტონმბზიდი მანქანა და მუშებს ბეტონს აწვდიდა.

ვესაუბრეთ უფროსს ბ. ბერელიძეს, სამუშაოთა მწარმოებლებს ი. ბოდოკიას, მ. ჩაჩიბაიას, ბრიგადირ გ. გიორგაძეს და სხვებს. ამ მონაკვეთზე უბანმა წლეულს 1 მილიონ მანეთამდე ქვიდა და ზედა საყრდენი კედლების, კლდის აფეთქებითი და მიწის სამუშაოები უნდა შეასრულოს. მალე დაიწყებენ რკინა-ბეტონის ხიდის მშენებლობას ყაზახის ღელეზე. მაგრამ მშენებლებს აკლიათ ტექნიკა, მათ განსაკუთრებით სჭირდებათ ორი ექსკავატორი, აკლიათ აგრეთვე სამი მებულდოზერე.

ჯვარი-ხაიში-ოიზის საავტომობილო გზის მშენებლობას აწარმოებს აგრეთვე „საქმიდროენერგომშენის“ ტრესტის საგზაო მშენებლობის სამმართველოს ორი ქვაბულები 2600 კუბური მეტრ ბეტონის სამუშაოთა საწარმოებლად. ამ ორ ობიექტზე ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირეს მხარი თაოსნობას „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედს — ახალგაზრდების ენთუზიაზმი და შემოქმედება“. სწორედ მუშაობისადმი შემოქმედებითი მიდგომა აძლევს საშუალებას ქალიშვილებს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიონ.

კომკავშირელები ჩაებნენ მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვეტეს იგი სამ წელიწადნახევარში შეასრულონ.

სურათზე: თბილისის მაუდ-კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მოწინავე მქსოველები, კომკავშირელები ასმათ ბურდული (მარცხნივ) და ნინო დავითაშვილი.

ფ. ჭორბენოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲬᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

მარცვლეულის დიდი რეზერვი

აგროწესების დაცვით დროულად დავამუშაოთ სიმინდის ნათესები

ზაფხულის ნახევარი გავიდა. საქართველოს მეიმინდეებს ეუარებელი საქმე აქვთ — მკიან პურეულს, იმარაგებენ პირუტყვის საკვებს, ამუშავებენ სათოხნ კულტურებს. იქ, სადაც გონივრულად ანაწილებენ მუშახელს, სადაც ორგანიზებულად მიმდინარეობს სამუშაოები, წარმატებებსაც აღწევენ.

ახლა მთავარია პურეულის აღებასა და პირუტყვის საკვების დაგროვებასთან ერთად შეუნელებელი ყურადღება მივაქციოთ სათოხნი კულტურების დამუშავებას, განსაკუთრებით კი სიმინდის ნათესების ჩამუშავებას, ბოლო ოცეული სიმინდი მარცვლეულად დაგროვება. ამ ბრძოლაში ნათესების აგროვადებში და წესების დაცვით დამუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს უხვი მოსავლის მიღებისათვის.

დღეს ვბეჭდავთ ჩვენი კორესპონდენტების მასალებს იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ხაზოგადოებრივ მეურნეობებში სიმინდის ნათესების დამუშავება.

სიმინდს ბალახი მორევია

წლეულს სასიმინდე ამინდია. ნათესებს ბუნება არაფერს აკლებს. სიმინდი თამამობს, მაგრამ ზოგან ბალახი მოერია და დაჩაგრა.

გრიდმა ზაფხულმა საქმე ერთბაშად მიაძალა და ცხენვაელებმა დროზე ვერ დაამთავრეს სიმინდის მეორე თოხნა. 708 ჰექტარიდან მეორეჯერ მხოლოდ 386 ჰექტარი გაითოხნა.

სამწუხარო ის არის, რომ ზოგან მეორე კი არა, პირველი თოხნაც არ დაუმთავრებიათ. ჯერ თოხი არ მიუკარებია ერედვის საბჭოთა მეურნეობის 16 ჰექტარ სიმინდის ნათესს, რომელიც კოხათის აგროუბანში უთესიათ, ასევეა 10-10 ჰექტარი ნათესი კეხვსა და დმენისში.

ერედვის საბჭოთა მეურნეობა რაიონში ერთ-ერთი უდიდესია. აქ 283 ჰექტარი სიმინდი უთესიათ. აქედან 181 ჰექტარი სამარცვლეა. მეურნეობის მთავარ აგრონომთან ბ. არსოევთან ერთად ვნახეთ სამარცვლე სიმინდის ნათესები. ფრისისა და ერედვის აგროუბნებში კარგად დაუმუშავებიათ ნაკვეთი. ტანსაცმელ სამინდს არც თოხნა მოკლებია და არც სასუქი.

თესვის წინ შეგიტანეთ ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები, თქვა ბ. არსოევმა, თოხნის წინ კი აზოტიანი სასუქით გამოკვებეთ სიმინდის ნათესები. ვფიქრობთ, ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი მოვიწოოთ. მაგრამ ასე როდია კოხათის აგროუბანში (მმართველი ი. ბორცვაძე), სადაც 55 ჰექტარი სიმინდი უთესიათ. ნათესს ბალახი მოსდებია. სოფელ ვანათის მიდამოებში 37 ჰექტარი ნათესი ბალახში არ ჩანს. თუ სასუქრაფო ზომები არ მიიღეს, ვალდებულება კი არა, გეგმასაც ვერ შეასრულებენ.

ვნახეთ მეორე აგროუბნის (მმართველი ბ. ბორცვაძე) სიმინდის ნათესები. ალაგ-ალაგ მიწა შავად გამოიყურება. რატომ არის ნათესი ასე მეჩხერი? მეჩხერი კი არ არის, ნათესები მინდვრის მავნებლებმა დაუზიანეთ, ამბობს მთავარი აგრონომი. თესლბრუნვის უგულებელყოფამ და ნიადაგის არასწორად დამუშავებამ იქ 40 ჰექტარი სიმინდი მინდვრის მავნებლებმა თითქმის გაანადგურეს. დარჩენილი დრო ამისათვის უნდა გამოიყენონ მეურნეობის ხელმძღვანელებმა და მეიმინდვრეებმა, რომ ნათესები სავულდაგულოდ დაამუშაონ, იბრძოლონ უხვი მოსავლისათვის.

გ. თოდუაეი,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მოუვლელი ნათესები

ამბროლაურის რაიონში, წლეულს 1.330 ჰექტარი დათესეს საგაზაფხულო კულტურები. აქედან 1.031 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი, ხოლო 97 ჰექტარზე ლობიოა დათესილი, დანარჩენი ბოსტნეულისა და სხვა კულტურებს უჭირავს.

კარგა ხანია დადგა ნათესების დამუშავების დრო. როგორი მდგომარეობაა რაიონში ამ მხრივ?

სიმინდი თოხის შვილიაო — უთქვამს ხალხს. ეს ბრძნული ანდაზა კარგად იციან რაიონის მოწინავე კოლმეურნეობების მშრომელებმა. ამიტომ ნათესების თოხნა-დამუშავებას თავიდანვე ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს. ეს უპირველესად, ითქმის ლიხეთისა და ჭელიაღელის კოლმეურნეობებზე. აქ აგროვადებში დამთავრდა სიმინდის ნათესების პირველი დამუშავება, დასასრულს უახლოვდება ნათესების მეორე თოხნა.

მაგრამ ასე არ ითქმის სხვა კოლმეურნეობებზე, რომლებმაც ხელიდან გაუშვეს ნათესების დამუშავების ხელსაყრელი დრო. სიგანგაშო მდგომარეობაა ხოტევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე შ. ყრუაშვილი). აქ სიმინდი 60 ჰექტარზე უთესიათ. ზაფხულის ნახევარი გავიდა, 20 ჰექტარი სიმინდის ნათესი კი არ ჯეუოთხნილა, მეორე თოხნა ხომ სულაც არ დაუწყიათ!

სიმინდის ნათესების პირველი თოხნის საქმე ნიკორწმინდის კოლმეურნეობაშიც (თავმჯდომარე ა. ზაქარაძე) ჩაშლილია. 12 იელისისათვის 10 ჰექტარი სიმინდის ნათესი არცერთხელ არ გაუთოხნიათ. სოფლის მახლობლად კობახიერების უბანთან ახლოს 3 ჰექტარი დათესილს სიმინდი და მერე ბალის ანაბრად მიატოვეს. კოლმეურნეობის გამგეობას, სასოფლო საბჭოს სოფლის აქტივი რომ დაერაზმათ, რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა.

სიმინდის პირველი თოხნა არ დაუმთავრებიათ სხვაგის (თავმჯდომარე თ. ნეფარიძე), ლდღინის (ო. ჭარბანაშვილი), ცაგის (ნ. ბერეაძე) და ნამანვეის (ვ. დვალი) კოლმეურნეობებს.

ნაკლები ყურადღება ექცევა ოფგოსლაციური მარტივი პიბრიდის სიმინდის ნათესების მოვლა-პატრონობას. რაიონში ამ ჯიშის სიმინდი 165 ჰექტარზე დათესეს. აქედან 17 ჰექტარი ნათესი სულ არ გაუთოხნიათ. ამ მხრივ საყვედურის ღირსნი არიან ხოტეველები. აქ ამ ჯიშის სიმინდი 10 ჰექტარი დათესეს, 3 ჰექტარი გათოხნეს, 7 ჰექტარის კი ნამანვეის ბალის ანაბარ დავიწყდათ. ამ ჯიშის სიმინდის ნათესებს უხეიროდ უვლიან აგრეთვე სხვაგის, ნიკორწმინდისა და სადმელის კოლმეურნეობები.

დრო არ ითმენს, სიმინდის ნათესების მოვლა-პატრონობას განსაკუთრებული ყურადღებაუნდა მიექცეს.

ვ. ციბერაძე,

„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

ზრუნვა ხალხის საუნჯეს

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲚᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲬᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲕᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინა სსრ კავშირის კანონის პროექტი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

ჩვენი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად ამ საკითხის შეტანა ლენინგრადელ მკვლევრებმა ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, რომლებსაც ლენინური პარტია ოქტობრის რევოლუციის პირველივე დღეებიდანვე ახორციელებს.

ჯერ კიდევ კარ ილიჩ ულიანოვი-ლენინი ამბობდა: „ჩვენ ვალვართ ბურჟუაზიისგან ძველ ეროვნულ-ეკონომიურ ინფრასტრუქტურას, ეს ინფრასტრუქტურა ბევრ ძველ ნაგებობას, ბევრ ისეთ ფაბრიკა-ქარხანას, ბევრ ისეთ ადგილს, ბევრ ისეთ ადამიანურ ადგილებს, ბევრ ისეთ ადამიანურ ადგილებს, ბევრ ისეთ ადამიანურ ადგილებ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲜ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. ᲩᲠᲗᲘᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲝᲙᲰᲝᲚᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲚᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲓᲝᲠᲘᲡᲬᲐᲜᲐᲛᲔᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ. ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲐᲛ ᲣᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲗᲮᲣᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲥᲕᲗᲔᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲔᲗᲠᲐᲛᲔᲢᲘ

მონრეალი-XXI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი

ოლიმპიური მონრეალი... დღეს იგი ხუთი გადაჭდობილი რგოლის ემბლემით სუნთქავს: ტრანსპარანტები, ფარები, აფიშები, სუვენირები — ახლა უველაფერი ამ გრანდიოზულ სპორტულ დღესასწაულზე მეტყველებს. მის სტუმართმოყვარე ქუჩებში დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე მოსაუბრეთ შეხვდებით, მაგრამ ახლა უველას ერთნაირად აღელვებს ერთი სიტყვა — „ოლიმპიადა“.

სურათებზე: მონრეალის ერთ-ერთ ქუჩაზე (მარცხნივ) და ქალაქის საქმიანი უბანი (მარჯვნივ).

ო. თურქმენს ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



„ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია

14 ივლისს მონრეალს გაფრინდა „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ტ. ნოვიკოვი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 77-ე სესიაში და გაეცნობა 1976 წლის ოლიმპიური ასპარეზობის ორგანიზაციის საკითხებს.

(საკდესი).

ძიუდოისტები მზად არიან

ძიუდოისტი სერგი ნოვიკოვი იყო სამგზის ევროპის ჩემპიონი და ორგზის ამსოლუტურ კატეგორიაში მსოფლიო პირველობათა პრაზიორი. 26 წლის ათლეტს მონრეალის ოლიმპიადაზე „გამარჯვების დიდი შანსიც აქვს, თუმცა მისი მეტოქენი იქნებიან მოგიდავეები, რომლებიც გარეგნულად (სიმაღლითა და წონით) ნოვიკოვზე გაცილებით უფრო ზორგბები არიან. მაგრამ თავად ნოვიკოვი ამბობს: „არ ვცდილობ უფრო მძიმე გავხდე, თუმცა ბევრი სპორტსმენი ჩემზე მეტს იწონის. ტატამზე ყველაზე მძიმეწონიანი და ძლიერი კი არა, ყველაზე გამბლე და ტექნიკური მოჭიდავეები იმარჯვებენ ხოლმე“.

საინტერესოა, რომ 16 წლის ნოვიკოვი უკვე 185 სანტიმეტრი სიმაღლისა იყო და 80 კილოგრამზე მეტს იწონიდა. მაგრამ როცა პირველად სპორტსმენობა გადაწყვიტა, ჭიუდოზე აირჩია და სექციაში ჩასაწერად მივიდა. მისი ახლანდელი დამრიგებელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი იაროსლავ ვოლოშჩუკი ახალბედამ არ აღაფრთოვანა. მართალია, ნოვიკოვმა მაშინვე მძიმე კატეგორიით დაიწყო და ამან მწვრთნელი დაინტერესა, რადგან 16 წლიანთა შორის მძიმე წონიანებს ძნელად თუ მონახავ, მაგრამ ჭაბუკი აწოწილი და მოუხერხებელი იყო ილეთების დროს, თანაც ისეთი მორცხვი, რომ მწვრთნელს არ სწამდა მისი მომავლისა, თუმცა ძალიან მალე ვოლოშჩუკი მიხვდა, რომ შეცდა. მისმა აღზრდილმა ყველაზე ბაბედული ვარაუდიც კი გააგარალა და, სანამ ძიუ-დოში ტატამზე თავს გამოიჩენდა, სამბოში ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

— სამბოდან ძიუ-დოზე იმიტომ გადავედი, — ამბობს იგი, — რომ მინდოდა ოლიმპიურ ასპარეზობაზე მომესწინა ძალა. ამასთან მოგვიანებით ძიუ-დოს ნამდვილი გემო ვიგრძენი, სადაც სისწრაფე, მოხერხებულობა, ნებისყოფა, ჭკუა განსაკუთრებით ფასობს. მე მომწონს პირისპირ დგომაში ჭიდაობის იაპონური სტილი. შარშან ევნის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალში ოთხი მომგებიანი ილეთი გავაკეთე, მაგრამ მსაჯებმა „ჩუი“ — გაფრთხილება მომცეს და ამიტომ გამარჯვება იაპონელ ენდოს მანიჭეს. იმედი მაქვს, მონრეალში აღარ შემხვდება ასეთი უსამართლობა. მე თუ ვერ გავიმარჯვე, ვფიქრობ, რომელიმე ჩემი თანაგუნდელი მაინც გაიმარჯვებს.

ევნის მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგალითად, ჩვენი მაიკოპელი ქვესაშუალო წონის მოჭიდავე ნივეზოროვი საბჭოთა ძიუდოისტთა შორის პირველი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. იაპონელებზე რამდენჯერმე გაიმარჯვა ჩვენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩოჩიშვილმაც. ძლიერია აგრეთვე ვალერი დვორნიკოვი, გუნდის ინტერესებისათვის იგი ალბათ საშუალო წონიანებს ეკიდავებოდა. თუმცა ამ კატეგორიაში კონკურენცია ძალიან მეტადაა. ვალერასა მწამს, იგი მკვეთრად მოიერიშე სტილის მოჭიდავეა. ვერცერთ წამს გაჩერებულს ვერ ნახავთ. შეუძლია ნებისმიერი მდგომარეობიდან გააკეთოს ილეთები.

— რობერტს ჩვენი შანსი მსუბუქ და ძალმძიმე წონაში?

— მსუბუქ კატეგორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოჭიდავის, 20 წლის თბილისელის, ქვეყნის ჩემპიონის ოლეგ ზურაბიანის იმედი გვაქვს. ეს ჭაბუკი მგზნებარედ და თავისებურად ჭიდაობს და ძალიან ძლიერ მსუბუქწონიან მოჭიდავეებთანაც კი შეუძლია მეტოქეობა. ქვემძიმე წონაში კი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორის რამაზ ხარშილაძის იმედი გვაქვს.

— თუ შეიძლება მოკლედ გაგვაცანით ჩვენი გუნდის მეტოქეები.

— საყოველთაოდ ცნობილია იაპონელ ძიუდოისტთა ძალა. ძალიან გამოცდილი მოჭიდავეები ჰყავთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, საფრანგეთის გუნდებს. მაგალითად, ჩემპიონობის ტიტულის კანდიდატები არიან ფრანგები— კოში, კიეშენი გამარჯვებული, და როუე — ქვემძიმე წონაში მარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი. პოლონეთის ნაკრებში — ადამჩიკი და რეიტერი. ძლიერ ძიუდოისტებს წარმოადგენენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი, კუბა, თვითეული წონაში ოლიმპიური მედლების ბევრი პრეტენდენტი იქნება. უძლიერესებს დღეში სულ ცოტა ექვსი ორთაბრძოლა მაინც მოუწევს.

— როგორ ემზადებოდით ოლიმპიურ ტურნირისათვის?

— ყოველდღე კროსით დავრბოდით, შტანგით ვვარჯიშობდით, ტატამზე წვრთნისათვის სამასამდე ილეთს ვასრულებდით, ვაწყობდით სპარინგებს. ერთი სიტყვით, ალბათ, ისევე ვემზადებოდით, როგორც ყველა ჩვენი მეტოქე.

დ. ივანოვი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი. (ასს).

ბილის ტურნირზე

კვლავ სამი უცნობი

შვეიცარიის ქალაქ ბილში დაიწყო მეორე საზონთაშორისო ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონის გეორგენის მაძიებელთა სამი საგზურისათვის.

ცხადია, ბილში პირველი 3 ადგილისათვის უმწვავესი ბრძოლა გაიმართება.

რა თქმა უნდა, საბჭოთა მოჭადრაკეებიდან თვითეული სამეულში გასვლის პრეტენდენტია. მაგრამ მათ უამრავი მეტოქეც ჰყავთ. იყო დრო, როდესაც ბენტ ლარსენი „ავტომატურად“ იმარჯვებდა საზონთაშორისო ტურნირებში (ამსტერდამი, სუსი და პალმა-დე-მალიორკა). მაგრამ ბოლო წლებში მას „ბზარი გაუჩნდა“. ლარსენი ვერ ივიწყებს (და, ეტყობა, ვერასოდეს დაივიწყებს) ფიშერთან ანგარიშით 0:6 წაგებულ მატჩს.

ლაროშ პორტიშს, ლარსენისაგან განსხვავებით, რაიმე მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა არა ჰქონია, პრეტენდენტთა მატჩებში დამარცხებებს საკმაოდ შშვიდად ხედებოდა, „უნგრელი ბოტვინიკი“ ტურნირისათვის თავის შუამავე სეკუნდანტ ჩოთთან ერთად ემზადებოდა.

ლარსენი და პორტიში საბჭოთა მოჭადრაკეების ძირითადი მეტოქეები არიან, მაგრამ კონკურენტების რიცხვი, რა თქმა უნდა, ამით არ ამოწურება. თავისი უკომპრომისო კომბინაციური სტილით, შემართული თამაშით ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა დიდოსტატი იან სმეიკალი. იგი ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ლენინგრადში იბრძოდა პრეტენდენტთა ასპარეზობაში მოხვედრისათვის და მხოლოდ ბოლო მოგებაში „დაუცდა ფეხი“. შარშან სექტემბერში მილანის „სუპერტურნირში“ სმეიკალის თამაშმა კვლავ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა.

მიმომხილველები დიდ შეფასებას აძლევენ ულო ანდერსონის თამაშს. მან შარშან დაამარცხა ლარსენი (5,5:2,5), წლეულს მხოლოდ ერთი ქუთი გასხვავებით წააგო (3,5:4,5) ტალთან, ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა კაპაბლანკას მემორიალში, მრავალი პრიზი მოიპოვა საერთაშორისო ტურნირებში.

უკანასკნელ წლებში ცოტას თამაშობდა რობერტ ჰიუბნერი. იგი არ არის პროფესიონალი მოჭადრაკე, დაიცვა დისერტაცია და ფილოსოფიის დოქტორი გახდა. მისთვის საზონთაშორისო ტურნირის „უკანასკნელი რეპეტიცია“ იყო ლას-პალმასში თამაში. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებული გელერის აზრით, ჰიუბნერი დიდხანს უფერულად გამოიყურებოდა, მაგრამ როდესაც მისი სატურნირო მდგომარეობა მეტად არასახარბიელო გახდა, ძალები მოიკრიბა და ყველა დასკვნითი პარტია მოიგო.

მაშ ასე, ჩვენ ვიღაპარაკეთ ლარსენზე, პორტიშზე, სმეიკალზე, ანდერსონსა და ჰიუბნერზე. თუ ადრინდელი შეჯიბრების მიხედვით ვიმსჯელებთ, სხვა მონაწილეების შესაძლებლობები უარესია. სიუტპარზს, შეიძლება, გულკოსაგან ველოდოთ, რომელიც უკანასკნელი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის დიდოსტატი გახდა და შემოდგომაზე საერთაშორისო დიდოსტატის წოდებასაც მიიღებს. გულკომ კარგად თამაშა ერევანში (საკავშირო ჩემპიონატი), თბილისში (საკავშირო გუნდური პირველობა) და ჩინეთგოსშიც (კაპაბლანკას მემორიალი).

ბილში ხუთი საერთაშორისო ოსტატი თამაშობს, მანილანი კი მხოლოდ სამი იყო. მაგრამ აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ბილში მოთამაშე ოსტატებიდან ახალგაზრდა როგოფსი და გამოცდილ სანვინენტის თეალსაჩინო ძალა აქვთ და თუ დღეს დიდოსტატის წოდება არ მიუღიათ, ამ „ჯგბირს“, ეტყობა, სეცაა გადალახავენ.

გ. გამრეკელი.

სამი ლიდერი

ბერლინი, 15 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა დიდოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვასილ სმისლოგი, დანიელი ბენტ ლარსენი და უნგრელი მოჭადრაკე ლაიოშ პორტიში — აი შვეიცარიის ქალაქ ბილში მიმდინარე საერთაშორისო ასპარეზობის სტარტის ლიდერები. პირველი სამი ტურის დამთავრებული პარტიების შემდეგ თვითეულს 2,5 ქულა აქვს. მეორე შედეგი — ზუსტად 2 ქულა დააგროვა ჯგუფმა, რომელშიც კიდევ ორი საბჭოთა მოჭადრაკე შედის. ესენი არიან ტაგანრპეტროსიანი და ბორის გულკო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას — პირველად ამ ასპარეზობაზე — სმისლოგმა დამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი კენეტ როგოფი, გულკომ — გელერი (ბრძოლის განუახლებლად).

მეგობრის ხსოვნას

ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, განყოფილების გამგე, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი **ზაქარია ვასილის-ძე ჯამასპიშვილი.**

თითქმის 40 წელიწადი იმუშავა მან პოლიგრაფიასა და პარტიულ პრესაში და აქედან 29 წელი „კომუნისტის“ რედაქციაში გატარა. იგი 62 წლისა იყო. როგორც ჟურნალისტი, მახვილი თვალით, პრინციპულობით და პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა. ამიტომაც იყო, რომ მისი გვარით ხელმოწერილ სტატიებს მკითხველი მუდამ ინტერესით ელოდა.

ზ. ჯამასპიშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო. ზემო მახსანიდან თბილისში ჩამოსული ჭაბუკი მუშა გახდა, თან პრესაში თანამშრომლობდა, ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ პრესაში მუშაობა განაგრძო.

დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და მოქმედ არმიაში იყო. როცა მძიმედ დაიჭრა და დემობილიზაციით დაბრუნდა, მუშაობა პოლიგრაფიის საწარმოებში დაიწყო, შემდეგ ჟურნალისტურ მოღვაწეობას შეუდგა. იყო გაზეთ „კომუნისტის“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, ასრულებდა პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობას, შემდეგ განყოფილების გამგედ დანიშნეს. 1957 წელს ზ. ჯამასპიშვილი გამოიცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორის მოადგილეა, ორი წლის შემდეგ კი კვლავ „კომუნისტის“ რედაქციის დაუბრუნდა — ჯერ სოფლის მეურნეობის განყოფილებას, განაგებდა, შემდგომ — საბჭოთა მშენებლობის განყოფილებას, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კი მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას ედგა სათავეში და სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო.

იგი დაჯილდოებული იყო მრავალი მედლით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელებით.

წყვდა ჩვენგან საუკეთესო მეგობარი, სპეციალ კომუნისტი, რომლის მთელი შეგნებული ცხოვრება თავდადების, სიმტკიცის, თავისი პროფესიის უსაზღვრო სიყვარულის, მინდობილი საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის განსახიერება იყო. ყველგან, სადაც კი მას უმუშავია, კეთილი მოგონება დატოვა, როგორც თავმდაბალმა, მუყაითმა, დიდი და ღრმა გონებით სავსე ადამიანმა.

სამუდამო ტკბილ მოგონებად დაგვრჩება მასთან გატარებული წლები, ბევრჯერ გავიხსენებთ, და ბევრჯერ გვატკენს გულს მისი უდროო დაღუპვა ყველას, ვისაც მასთან გვიმუშავნია და ჟურნალისტური ცხოვრების გზებზე გვავლია.

ამხანაგების ჯგუფი.

ბილიოთეკა

მიდვევთ კოლეკტიურად საბალო საგზაფხულო გაზრდაზე

ძვირფასო მომხმარებელნო! 1976 წლის 17 ივლისიდან წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირში ქუთაისამდე ერთ-ერთ ავტკეცილზე (2 კილომეტრზე ქუთაისიდან) ყოველ დასვენების დღეს — შაბათსა და კვირას მოეწყობა კოოპერაციული საზაფხულო-საცალო ბაზრობა. რესპუბლიკური საზაფხულო საცალო ბაზრობაში მონაწილეობას მიიღებენ სისტემის კოოპერაციული საკავშო ორგანიზაციები, რომლებიც მომხმარებელს საბჭოურ და იმპორტულ შეკერილ ტანსაცმელს, თეთრეულს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟს პარფიუმერიას, გალანტერიას, სპორტულ და სამეურნეო დანიშნულების საქონლის ფართო ასორტიმენტს, აგრეთვე კოოპერაციული მრეწველობის ნაწარმს და საექსპორტო ორიგინალებით შემოზიდულ სხვადასხვა სამრეწველო საქონელს შეთავაზებენ.

თქვენ მოგემსახურებათ მოძრავი სავაჭრო პავილიონები, ავტო და სარდლიანი ფურგონები, ფართო მომსახურებას გაგიწევთ ხამოზმბრეზელო კოოპერაციის საზოგადოებრივი კვების მოძრავი ქსელი.

თქვენთვის შეიქმნება სავაჭრო მომსახურებისა და დასვენების პირობები. მოისმენთ და ნახავთ თვითმოქმედი კოლექტივების საესტრადო ნომერებსა და ხალხური ცეკვებს.

მაშ ახლ, 17 ივლისიდან ყოველ დასვენების დღეს, რესპუბლიკის კოოპერაციულ საზაფხულო-საცალო ბაზრობაზე გიწვევთ!

ცეკავშირის გამგეობა.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

ფიზიკიდან და ცხოვრება

ექიმი, არსებობს განა პროფესია უფრო ჰუმანური, უფრო პატივსაცემი? ყველაფერი ეს ითქმის, ბუნებრივია ექიმის თანამშემწეზე, პროვიზორსა და ფარმაცევტზეც. ესენი ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ერთგულ დარაჯებად უდგანან მის სიცოცხლეს.

ექიმის მოღვაწეობის შეფასებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავადმყოფთან მის ურთიერთობას. ძველთაძველი ჭეშმარიტებაა, რომ ექიმის დაბალი კვალიფიკაცია და უსულგულობა ნდობას უკარგავს მას ავადმყოფის თვალში და ეს განუზომლად ამცირებს მკურნალობის ეფექტს.

ავადმყოფი უტყუარად აფასებს ექიმის ცოდნას, გამოცდილებას და გულისხმიერებას. ექიმის სიტყვა ავადმყოფისათვის დამაჯერებელია, სანდო. მას ლამის კანონის ძალა აქვს ავადმყოფის თვალში. ავადმყოფს ექიმის უბრალო განსაჯვაც კი შვებას გვრის.

რით აიხსნება ასეთი ძლიერი ფსიქოთერაპიული გავლენა?

უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ავადმყოფს სურს გაჯანსაღდეს, იცოცხლოს. მან იცის, რომ ადამიანი, რომელსაც მისი ბედარჩენა შეუძლია, — ექიმი და ექიმი აქვს მისი. და მართლაც, ექიმი, თავისი დამაჯერებელი სუბრით, გულისხმიერებით, სამკურნალო საშუალებების დანიშვნითა და მოვლის წესების ახსნით ავადმყოფზე ძლიერ ფსიქოთერაპიულ გავლენას ახდენს.

თერაპიული ეფექტის მიღებისთვის ექიმის პიროვნებას, მის სახელს და ღირსებას დიდი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობაც აქვს. აი, ამის მაგალითიც: ერთ ავადმყოფს ახალებედა ექიმი მკურნალობდა. განყოფილების უფროსი სახელმოხვეჭილი, გამოცდილი სპეციალისტი იყო, მას ემადლიერებოდნენ და აქებდნენ. სტაციონარიდან გაწერისას უფროსმა ექიმმა საჭირო რჩევა-დარიგება მისცა ავადმყოფს და ჩვეულებრივი დამშვიდებელი წამალი გამოუწერა. წამალმა ავადმყოფს არგო და მან განმეორება მოისურვა. მაგრამ უფროსი ექიმი არ დახვდა და რეცეპტი თავის მკურნალ ახალგაზრდა ექიმს გადააწერინა. ამჯამად წამალმა ეფექტი არ გამოიღო.

თქვენმა გამოწერილმა წამალმა მარგო, ჩემი ექიმის გამოწერილმა კი არა, ალბათ, შეცვალა წამლის შემადგენლობაო, — შესჩივლა ავადმყოფმა უფროს ექიმს და, წარმოიდგინეთ, მის მიერ განმეორებით გამოწერილმა იმავე წამალმა პირვანდელი დადებითი შედეგი გამოიღო!

მრავალი კლინიკური და ექსპერიმენტული დაკვირვებით დადგენილია სიტყვის ფიზიოლოგიური და თერაპიული გავლენა. ამ ყოველისშემლე იარაღს ოსტატურად უნდა იყენებდეს ექიმი, რომლის ფსიქოთერაპიული ძალა მის ავტორიტეტზეა დამოკიდებული. პროფესორმა კ. ი. პლატონოვმა, პავლოვის ფიზიოლოგიურ მოძღვრებაზე დაყრდნობით, ფართო მასშტაბის კვლევა აწარმოა ფსიქოთერაპიის სფეროში. მისი ეს გამოკვლევები განზოგადებულია კაპიტალურ ნაშრომში: „სიტყვა, როგორც ფიზიოლოგიური და სამკურნალო ფაქტორი“.

ექიმის ღირსების და ავტორიტეტის საფუძველი მის მიერ ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობა და მასზე ხალხში შექმნილი შეხედულება გახლავთ. ექიმის სულ მცირე შეცდომასაც კი შეიძლება ხალხის ნდობისა და სიყვარულის დაკარგვა მოჰყვეს. ამიტომ სახელს თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება.

მედიცინის მუშაკთა ავტორიტეტის საკითხი, მათი ინტერესების დაცვა, საჭიროა შემოხვევაში კი — გაკიცხვა მუდამ იყო საზოგადოების ყურადღების არეში. გასული საუკუნიდან მოყოლებული, გაზეთი „ივერია“ ფრიად საყურადღებო მასალებს აქვეყნებდა ამ საკითხებზე.

სამკურნალო დაწესებულებების სამეცრე, ექიმების, ფერშლების, პროვიზორებისა და ფარმაცევტების მცირერიცხოვნება, ხალხის ცხოვრების დაბალი დონე, ეპიდემიები, ხშირი სიკვდილიანობა და სხვა გმირულ თავდადებას მოითხოვდა თვითეული მედიცინის მუშაკისაგან. გარდა ამისა, ექიმი, მედიცინის მუშაკი ფრიშენელოვანი კულტურული ძალა გახლდათ ხალხის გათვითცნობიერებისათვის. სწორედ ამიტომ, აუცილებელი იყო მედიცინის მუშაკის ავტორიტეტის აშაღლება, მისი ინტერესების დაცვა, ხოლო საჭირო შემთხვევაში (ეს შემთხვევები კი, საბედნიეროდ, ძალზე იშვიათი გახლდათ) — უღირსების მკაცრი გაკრიტიკება და ნაკლოვანებათა გამოსწორების გზების ძიება.

პრესას უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სამედიცინო სამსახურის წინსვლისა და წარმატების საქმეში. მაგრამ ფართო მკითხველისათვის განკუთვნილ პრესაში სამედიცინო საკითხების და, მათ შორის, მედიცინის მუშაკის საქმიანობის გაშუქება დიდ სიფრთხილეს, ზომიერების დაცვას მოითხოვს. ხოლო განხილვა ისეთი სამედიცინო შეცდომებისა, რომელსაც მოსახლეობის შიში და ექიმისადმი უნდობლობა მოაყვება, არ არის გამართლებული. სჯობს ასეთი საკითხები სპეციალურ სამედიცინო პრესაში გამოქვეყნდეს, საექიმო საზოგადოების სხდომებზე იქნას განხილული.

საექიმო შეცდომის აღიარება, მისი ღრმა, მეცნიერული ანალიზი და საჭირო დასკვნის გამოტანა კი აუცილებელი და სასარგებლო საქმეა.

მართალია, ჩვენს დროში ექიმის მოღვაწეობის სფერო განუზომლად გაფართოდა, მრავალფეროვანი გახდა, შესაბამისად გაიზარდა მისი უფლება-მოვალეობა (ამის უთქმელობა არ შეიძლება); მაგრამ, სამწუხაროდ, სპეციალი ზნეობისა და უდიდესი პოპულარობის მხრივ ჩვენი ექიმები შეიძლება დაესესხონ თავიანთ წინამორბედებს. დიდებული სახელი დატოვეს მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის სახელოვნანმა მოღვაწეებმა: ს. ვაშაძემ, ი. გოჩაძემ, გ. ტარასიძემ, მ. გედევანიშვილმა, ი. ელიავშვილმა, ს. თოფურიამ, ი. გომართელმა და სხვა მრავალმა.

პირველი ქართველი ოფთალმოლოგის, ჩინებული ექიმის გიორგი ტარასიძის უანგარო მოღვაწეობა ასახული აქვს ნიკო ლომოურს მოთხრობა „ბაშა მეგობარში“, რომელიც ბრმა სოფლელი გოგონას განკურნების საუცხოო ამბავს გადმოგვცემს. მადლიერ ქართველ ხალხს არ დავიწყებია გ. ტარასიძის ღვაწლი, თვალის რესუბლიკური კლინიკური საავადმყოფო მისი სახელობისაა.

ახლახან დაბადების მეასე წლისთავი გადაუხდეს ივანე გომართელს. მისი პოპულარობა განუმეორებელი იყო. მის სამედიცინო მანიპულაციებზე ლეგენდები დადიოდა. ივ. გომართელმა თავისი ხალხის განუზომელი სიყვარული მოიპოვა.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა. მცოდნე, შრომისმოყვარე და კეთილი ბუნების ექიმის საზოგადოებისათვის დიდი ნიკეთის მოტანა შეუძლია, თავად კი ისეთ განის იხვეჭს, რომელზე ძვირფასიც ქვეყნად არაფერია — თავისი ხალხის აღიარებასა და სიყვარულს.

ჩვენ სიცოცხლეს ვაჩუქებთ ადამიანებს!

ყველამ იცის, რა თავდადებით იბრძოდნენ ექიმები დიდ სამამულო ომში. მებრძოლებისათვის ექიმი ჭეშმარიტად საიმედო თანამებრძოლი იყო. ექიმიც გრძობდა ამ ნდობას და შემართებით, ვაჟკაცურად ახრუნლდა თავის საბრძოლო დავალებებს.

ვინ მოთვლის რამდენი მადლობა აქვთ მიღებული ჩემს თანამებრძოლ კოლეგებს, ყველას, ვისაც პროფესიული სინდისი უფლებას არ აძლევდა ყოველთვის ბოლომდე არ შეეასრულებინა თავისი მოვალეობა.

სამწუხაროდ, შემდეგ ზოგიერთმა მედიცინის მუშაკმა მართებული საყვედური დიამსახურა ავადმყოფებისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის, იმისათვის, რომ მკურნალობაში უხეში შეცდომები მოუვიდა.

ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე არსებული ხარვეზებისა, მედიცინის მუშაკთა საქმიანობაში შეცდომებისა და მათი გამოსწორების შესახებ მრავალჯერ იყო საუბარი პარტიულ კონფერენციებზე, მედიცინის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებებზე. მრავალი კრიტიკული წერილი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მთავრობამ ფართო მასშტაბის მუშაობა გასწიეს უკანასკნელ წლებში არსებული ნეგატიური მოვლენების სალიკვიდაციოდ, მათ შორის — მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის გაუმჯობესებისათვის, ექიმის ავტორიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, რამაც თავისი დადებითი შედეგი გამოიღო. მაგრამ გამოსასწორებელი კიდევ ბევრი დარჩა.

უღირსი მედიცინის მუშაკების შესახებ მსჯელობა პირველად პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, საექიმო საზოგადოებებსა და საჭიროების შესაბამისად — პრესაში უნდა გაიმართოს. ამასთან, უნდა ვერიდოთ ცალკეული შემთხვევების განზოგადებას, უღირს ექიმს არ უნდა ედომებოდეს საექიმო საზოგადოებაში, ხოლო ღირსეულს უნდა შეეუნარჩუნოთ დამსახურებული ავტორიტეტი.

მედიცინის ყოველი მუშაკი უნდა ეცადოს იყოს თავისი პროფესიის ღირსი. თვალისჩინივით გაეუფრთხილდეთ ამ ღირსებას!

ა. მინდაძე,
პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ექიმი და მისი ავტორიტეტი

თვალისჩინივით გასაფრთხილებელი

შენდობა სასათბურე კომბინატი

თელავი. (საკ. კორ.). ქალაქის მახლობლად დაიწყო მებოსტნეობის სამეურნეოთაშორისო სასათბური-კომბინატის მშენებლობა. კომბინატში სათბურები ეძვნ ჭეტარს დაიკავებს, ხოლო ამდენივე ფართობზე ღია გრუნტში ბოსტნეულს მოიყვანენ.

პირველი რიგის მშენებლობა, რომელიც ორ ჰექტარ სასათბურე მეურეობას ითვალისწინებს, გაისად უნდა დამთავრდეს, ხოლო კიდევ ორი ჰექტარი — 1978 წელს.

კომბინატის წყლით უზრუნველყოფისათვის მოეწყობა სამი არტეზიული ჭა. აქედან ერთი უკვე მზად არის და წამში 10 ლიტრ წყალს იძლევა.

ტექნიკური კონფერენცია

ზესტაფონი. (საკ. კორ.). „კაბელის ქარხანა მეათე ხუთწლედში“. ამ თემას მიეძღვნა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია. „საკაბელო მრეწველობის განვითარების პერსპექტივები X ხუთწლედში“ — ასეთი მოხსენება წარმოადგინა მოსკოვის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნოლოგიური პროცესების ლაბორატორიის გამგემ ნ. ბელოუსოვმა. საკაბელო მრეწველობის მატერიალურ რესურსებს მოუძღვნა მოხსენება ეოკინის კვლევითი ინსტიტუტის უფროსმა ინჟინერმა ხ. ლარიბიანმა. ზესტაფონის კაბელის ქარხნის ტექნიკური ჭაბაყოფილების უფროსი ჯ. მაჩათაძე კონფერენციის მონაწილეებს ესაუბრა ქართველ მეკაბელეთა ავოცაკებზე მეათე ხუთწლედში.

ახალი ტანკერი

ბათუმი. (საქინფორმის კორ.). ქერჩში წყალში ჩაუშვეს ახალი ტანკერი. მის ბორტზე წარწერილია სამოქალაქო ოფის ლეგენდარული გმირის, დივიზიის მეთაურის ვასილ კიკვიძის სახელი. ამ თანამედროვე, უახლესი ელექტრორადიოსანავიგაციო მოწყობილობით აღჭურვილ გემს პრაქტიკულად ნაოსნობის განუსაზღვრელი რაიონი აქვს. საბაზო ნავსადგურიდან მას შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მიიტანოს ნავთობპროდუქტები შუალედურ ნავსადგურებში მეუფლელად. ტანკერის დედვეიტია 16.500 ტონა.

„ვასილ კიკვიძე“ — საქართველოს საზღვაო ნაოსნოს გემი, გამოცდის დამთავრების შემდეგ ჩამოვა ბათუმის ნავსადგურში და აგვისტოს დამდეგს პირველ სამშუალო რეისში გავა.

ქერჩის ქარხანაში აშენდა ბევრი გემი, რომლებზეც ჩვენ ზარმაცებით შრომობენ ქართველი მეზღვაურები. მეათე ხუთწლედში საწარმო საქართველოს სანაოსნოს გადასცემს ამ სერიის სხვა გემებსაც.

ავიღლი

ბუშენ, 13 საათზე ყველგან უნალექო ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 24-27, მთებში 19-22 გრადუსი სითბო იყო.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 25-29, მთებში 16-21 გრადუსი სითბო აღინიშნა.

ბუშინ 13 საათზე თბილისში 28 გრადუსი სითბე იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო სანაპირო ზონაში ხანმოკლე წვიმა და ელჭექი მოსალოდნელი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 25-30, მთებში 20-25 გრადუსი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, დაბლობ რაიონებში 28-31, მთებში 21-26 გრადუსი იქნება.

თბილისში მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, იქრეულებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 29-31 გრადუსი.

ველოსპორტი

„დინამოს“ პირველობაზე

თბილისის ველოტრეკზე 3 დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა ტრეკზე რბოლაში.

1960-61 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის ორი გამარჯვება მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა გ. დვალიშვილმა. იგი საუკეთესო იყო პიტში 500 მეტრზე (ადგილიდან) და სპრინტერთა შეჯიბრებაში. ქართველმა ველოსიპედისტმა ფინალში მოუყო გ. რომანაცეს (თურქმენეთი). 3 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა. საქართველოს ნაკრები მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

შედარებით სუსტად ისაპარეზეს ჩვენმა ველოსიპედისტებმა იუნიორთა შეჯიბრებაში, სადაც 1958-1959 წლებში დაბადებული სპორტსმენები გამოდიოდნენ. ვერცერთმა ქართველმა სპორტსმენმა საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა.

ვაჟთა შორის 1.000 მეტრზე პიტში (ადგილიდან) რბოლაში და სპრინტერთა ასპარეზობაზე თავი გამოიჩინა მოსკოველმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. ვორონინმა. ყველითა რბოლაში 75 წრეზე 7 საშუალედო ფინიშით გაიმარჯვა მოსკოვის გ